<u>პროექტი</u>

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

2026 წლის _ ივნისი

ქ. დუშეთი

არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გამოვლენილ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, “არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“, “ლ” და „მ“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 239-ე მუხლის 44 ნაწილის, 240-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ მე-17 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, “არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ” საქართველოს კანონით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების მიზნით დამტკიცდეს:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა N1 დანართის შესაბამისად;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, N2 დანართის შესაბამისად;

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა N3 დანართის შესაბამისად;

დ) გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა დანართი N4 შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ნუკრი უნდილაშვილი